**დანართი დამტკიცებულია**
**შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის**
**გენერალური დირექტორის**
**2024 წლის ........მარტის №...................... ბრძანებით**

# მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

შპს ამერიკული საერთასორისო სკოლაპროგრესი-ბათუმი

-2024-

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმის მოსწავლის მხარდამჭერის

ჯგუფი არის სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელსეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს.
2.მოსწავლეთა მხარდაჭრის ჯგუფი საკუთარ ფუქციებს და ვალდებულებებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად და მის ფარგლებში;
3.მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი მხარს უჭერს სკოლის ადმინისტრაციას და მუშაობს სკოლასთან შეთანხმებით, რათა ხელი შეუწყოს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდას;

## მუხლი 2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციები

1.მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის ძირითადი ფუქციები:
1.1. მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;
1.2. მოსწავლეთა განვითარებისათვის ეფექტური პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
1.3. მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარების პროცესის ხელშეწყობა;
1.4. მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და ხელშეწყობა;
1.5. მოსწავლისათვის ინდივიდუალური საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით დახმარება
1.6. მოსწავლეთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
1.7. მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა;
1.8. მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობასთან დაკავშირებით ი ნფორმაციის დროულად მიწოდება;
1.9. მოსწავლის სასკოლო ცხორვებაში ჩართულობის ხელშეწყობა;
1.10. მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე მისი მხარდაჭერის მიზნით საჭიროებისამებრ, სხვა სახის ჩართულობა;
2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი საქმნიანობას ახორციელებს სკოლის სხვა სტუქტურულ ერთეულებბთან თანამშრომლობით.

## მუხლი 3. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები

1.მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის წევრებს კომპეტენციიდან გამომდინარე არჩევს და ამტკიცებსსკოლის დირექტორი ბრძანებით.
2.მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფში აუცილებლად უნდა შედიოდნენ:
2.1. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი;

2.2. ექიმი;
2.3. საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
2.4. კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კვალიფიკაციის პირი;

## მუხლი 4. მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის ზოგადი სამოქმედო სტრატეგია

1. ზოგადად, მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი ხელმძღვანელობს მითითებული ცხრილის შესაბამისად:

| | პრობლემის იდენტიფიცირება | პრობლემის ანალიზი | საჭიროებების დადგენა | სამოქმედო გეგმის შედგენა |
|---|---|---|---|---|
| კათედრა | | | | |
| ფსიქოლოგი | | | | |
| ექიმი | | | | |
| დამრიგებელი | | | | |
| დირექტორი,დირექტრის მოადგილე | | | | |
| მოსწავლეთა მხარდაჭერის კონსულტანტი | | | | |

2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამოქმედო სტრატეგია არის ზოგადი და ყოველი კონკრეტული საკითხის/სირთულის წამოჭრის შემთხვევაში, მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფს უფლება აქვს შეიმუშავოს ინდივიდუალური სტრატეგია;

**მუხლი 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრები**

**1.**. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი ატარებს შეხვედრებს, რომელსაც ესწრებიან ჯგუფის წევრები. სკოლასთან და მოსწავლესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი შეიძლება განხილულ იყოს, შეკითხვების დასმა და აზრის გამოთქმა თავისუფალია ყველასთვის. ასევე, განიხილება ჯგუფის მომავალი ღონისძიებები/აქტივობები და დგინდება ღონისძიების ჩატარებისთვის საჭიროებები;

2. ჯგუფის ყველა წევრი წახალისებულია დაესწროს და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ჯგუფის შეხვედრებში/სხდომებში.

**მუხლი 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება და ცვლილების შეტანა**

1. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულებას ამტკიცებს დირექტორი;

2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში ცვლილებების შეტანის ინიცირების უფლება აქვთ მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის წევრებს;

3. დებულების გაუქმება შესაძლებელია პირველ პუნქტში მითითებული წესით.